სიტყვის ძალა

მართალია, პიროვნებები არ ქმნიან ისტორიას, მაგრამ ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ კვალს ამჩნევენ ისტორიული პროცესების განვითარებას. XIX საუკუნეში ასეთი პიროვნება იყო ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მისი ინიციატივით დაარსებული უნივერსიტეტი -ნამდვილი ქართველების სამჭედლო .

1918 წლიდან მოყოლებული რა არ გადაიტანა უნივერსიტეტმა, ისევე, როგორც ჩვენმა ქვეყანამ. ,,უნივერსიტეტი იმ პროცესების სახეა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, რადგან ეს ყველაფერი აირეკლებოდა უნივერსიტეტის ცხოვრებაზე“. (ზ.გაიპარაშვილი სტატია ივ.ჯავახიშვილის შესახებ)

როცა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების ქრონიკებს გავეცანი , ჩემი ყურადღება ერთმა ძალიან მნიშვნელოვანმა ფაქტმა მიიპყრო. მას შემდეგ სულ ვფიქრობდი და დღეს ამ ნაშრომის წერის დროს მივხვდი, რომ მომეცა საშუალება, ჩემი აზრის ნათლად და ღიად დაფიქსირებისა.

1921 წელი, მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრება ქვეყანას, დიდი ივანე ჯავახიშვილი მოუწოდებს სტუდენტებს: ,,მე ახლა თქვენ უნდა მოგიწოდოთ, რომ დასხდეთ და ლექციები ისმინოთ,მაგრამ არის დრო, როცა გვერდზე უნდა გადადოთ საწერ-კალამი და წიგნი. როცა სამშობლოს უჭირს, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ მის დასაცავად“. მართლაც, გამოუცდელი სამშობლოს სიყვარულით გულაღტკინებული ახალგაზრდების ამარა დარჩენილა თბილისი. უნივერსიტეტმა კი თავისი აუდიტორიები და კლინიკები გააღო დაჭრილთა მისაღებად და დასახმარებლად.

დიდი ივანეს ამ მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურა სტუდენტობა და მეორე დღესვე წავიდნენ ბრძოლის წინა ხაზზე და ბევრი მათგანი უკან ვეღარ დაბრუნდა. შეიძლება ბევრი ფიქრობს, რომ ეს ნაბიჯი გაუმართლებელი იყო და ტყუილად დაიღვარა ამდენი სისხლი. თვითონ მთავრობამც ხომ უბრძოლველად ჩააბარა თბილისი ბოლშევიკებს, სხვა ძალა არ არისო. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს სწორი ნაბიჯი იყო. ახალგაზრდობის ადგილი იქაა, სადაც სამშობლოს უჭირს, დიდი ივანეს მოწოდებაზე მარტო სტუდენტობა კი არა ქუდზე კაცი უნდა გამოსულიყო მამულის დასაცავად.

ამრიგად, დიდი კაცის სიტყვას დიდი ძალა აქვს და სწორედ მათ მართებთ სწორი გადაწყვეტილების მიღება ძნელბედობის ჟამს. ძნელბედობის ჟამს , რომელიც ჩვენი ქვეყნის ავბედით ბედისწერად იქცა ყველა ეპოქაში . ამიტომაც მგონია , რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწოდება ბევრი ფიქრის და მტკიცე განსჯის შედეგი იყო . სხვაგვარად გადარჩენის გზას ალბათ ვერ ხედავდა და მოუწოდა ახალგაზრდებს იქ დამდგარიყვნენ , სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა თავიანთ სამშობლოს.

გამოყენებული ლიტერატურა:ზ.გაიპარაშვილი,სტატია ივანე ჯავახიშვილის შესახებ